თავი II

2024 წლის იანვარ-სექტემბრის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2024 წლის ცხრა თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 9.8% შეადგინა. აქედან, 2024 წლის I კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 8.4%, II კვარტალში 9.6%, ხოლო III კვარტალში 11.1% (წინასწარი შეფასებით) შეადგინა.

2024 წლის პირველი ნახევრის საშუალო რეალურმა ზრდამ 9.1% შეადგინა. 2024 წლის პირველი ნახევრის ეკონომიკურ აქტივობაში ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: განათლება - 25.0%, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები - 23.0%, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 14.2%, ტრანსპორტი და დასაწყობება - 13.2%, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება - 13.1%, მშენებლობა - 11.8%, ხელოვნება, გართობა და დასვენება - 10.9%, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები - 10.2%. კლება დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 9.0%.

ფასები

2024 წლის სექტემბერში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაცია) 0.6% შეადგინა, ამავე პერიოდისათვის, საშუალო ინფლაცია 0.9% დონეზეა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: ტრანსპორტი: ფასები გაიზარდა 4.3%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.52 პროცენტული პუნქტით აისახა; ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 4.9%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.34 პროცენტული პუნქტით აისახა; სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნები: ფასები გაიზარდა 7.5%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.25 პროცენტული პუნქტით აისახა; კავშირგაბმულობა: ფასები შემცირდა 12.8%-ით, რაც (-0.48) პროცენტული პუნქტით აისახა ინფლაციის მაჩვენებელზე; საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ფასები შემცირდა 2.9%-ით, რაც (-0.23) პროცენტული პუნქტით აისახა ინფლაციის მაჩვენებელზე.

გაცვლითი კურსი

2024 წლის სექტემბერში 2023 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.5%-ით გაუფასურდა და 2.73 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების გაცვლით კურსებთან, გამყარდა 1.7%-ით.

მონეტარული აგრეგატები

2024 წლის სექტემბერში 2023 წლის სექტემბერთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 16.2%-ით გაიზარდა და 47 363.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 20.3%-ით გაიზარდა და 28 104.8 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2024 წლის სექტემბერში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 1.7% პროცენტული პუნქტით შემცირდა და 46.3%-ს გაუტოლდა. ამავე პერიოდში სესხების დოლარიზაციის კოეფიციენტი 1.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 43.8% შეადგინა.

საგარეო სექტორი

2024 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 16 777.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 3.7%-ით მეტია; აქედან ექსპორტი 4 786.7 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (4.1%-ით მეტი), ხოლო იმპორტი 11 991.0 მლნ აშშ დოლარს (3.6%-ით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2024 წლის იანვარ-სექტემბერში 7 204.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 42.9%-ია.

2024 წლის იანვარ-სექტემბერში მთლიან საქონელბრუნვაში ევროკავშირის წილი 21.3%-ს შეადგენს, თურქეთის - 13.9%-ს, რუსეთის - 10.9%-ს, აშშ-ის - 8.8%-ს, ჩინეთის - 8.5%-ს.

მთლიან ექსპორტში ყირგიზეთის წილი 19.0%-ს შეადგენს, ყაზახეთის - 13.3%-ს, აზერბაიჯანის - 11.4%-ს, რუსეთის - 10.9%-ს, სომხეთის - 9.7%-ს.

მთლიან იმპორტში ევროკავშირის წილი 26.6%-ია, თურქეთის - 16.6%, აშშ - 11.5%, რუსეთის - 11.0%, ჩინეთის - 10.0%.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილებია 36.8%-ით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები 4.7%, ყურძნის ნატურალური ღვინოები - 4.5%, სპირტიანი სასმელები - 4.4% და ძვირფასი ლითონის მადნები და კონცენტრატები - 3.5%.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 19.5 პროცენტიანი წილი უკავია. შემდეგ მოდიან: ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 8.2%, სამკურნალო საშუალებები - 3.9%, ნავთობის აირები - 2.3% და სატელეფონო აპარატები - 1.9%.

ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობაში

2024 წლის იანვარ-სექტემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი 30.9%-ით შემცირდა.

ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებია:

- თხილი და სხვა კაკალი (32.9 მლნ აშშ დოლარი, 9.3% ზრდა);
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები (31.1 მლნ აშშ დოლარი, 88.1% კლება);
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები (30.4 მლნ აშშ დოლარი, 470.5% ზრდა);
- მინერალური სასუქები (25.3 მლნ აშშ დოლარი, 21.2% კლება);
- მადნები და კონცენტრატები ძვირფასი ლითონებისა (25.1 მლნ აშშ დოლარი, 1 505.9% ზრდა).

2024 წლის იანვარ-სექტემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტი 15.8%-ით გაიზარდა.

ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფებია:

- მსუბუქი ავტომობილები (534.1 მლნ აშშ დოლარი, 49.2% ზრდა);
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები (308.9 მლნ აშშ დოლარი, 62.8% ზრდა);
- სამკურნალო საშუალებები (220.6 მლნ აშშ დოლარი, 25.5% ზრდა);
- სატვირთო ავტომობილები (78.0 მლნ აშშ დოლარი, 5.3% ზრდა);
- სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა (61.8 მლნ აშშ დოლარი, 25.2% კლება).

თურქეთთან ვაჭრობაში

2024 წლის იანვარ-სექტემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თურქეთში ექსპორტი 6.2%-ით გაიზარდა.

ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებია:

- ფეროშენადნობები (92.7 მლნ აშშ დოლარი, 252.8% ზრდა);
- ტრიკოტაჟის ნაწარმი (81.9 მლნ აშშ დოლარი, 9.8% ზრდა);
- ელექტროენერგია (40.1 მლნ აშშ დოლარი, 53.4% კლება);
- ალუმინის ნარჩენები და ჯართი (11.5 მლნ აშშ დოლარი, 24.6% ზრდა);
- სპილენძის ნარჩენები და ჯართი (8.2 მლნ აშშ დოლარი, 31.1% ზრდა).

2024 წლის იანვარ-სექტემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თურქეთიდან იმპორტი 6.6%-ით გაიზარდა.

ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფებია:

- სამკურნალო საშუალებები (128.7 მლნ აშშ დოლარი, 23.5% ზრდა);
- შავი ლითონების მეტალოკონსტრუქციები და მათი ნაწილები (54.9 მლნ აშშ დოლარი, 20.9% ზრდა);
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები (53.0 მლნ აშშ დოლარი, 141.9% ზრდა);
- შავი ლითონის მილები, მილაკები და ღრუ პროფილები (48.0 მლნ აშშ დოლარი, 57.8% ზრდა).
- მსუბუქი ავტომობილები (41.0 მლნ აშშ დოლარი, 46.2% კლება).

რუსეთთან ვაჭრობაში

2024 წლის იანვარ-სექტემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რუსეთში ექსპორტი 2.2%-ით გაიზარდა.

ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებია:

- ყურძნის ნატურალური ღვინოები (146.9 მლნ აშშ დოლარი, 13.8% ზრდა);
- სპირტიანი სასმელები (110.1 მლნ აშშ დოლარი, 169.2% ზრდა);
- მინერალური და მტკნარი წყლები (61.0 მლნ აშშ დოლარი, 25.7% ზრდა);
- მინერალურისა და დაგაზიანებულის წყლები, შაქრის შემცველობით (49.2 მლნ აშშ დოლარი, 2.8% ზრდა);
- გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი, ქლიავი და ღოღნოშო, ახალი (32.1 მლნ აშშ დოლარი, 17.8% ზრდა).

2024 წლის იანვარ-სექტემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რუსეთიდან იმპორტი 3.8%-ით შემცირდა.

ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფებია:

- ნავთობი და ნავთობპროდუქტები (401.3 მლნ აშშ დოლარი, 16.0% კლება);
- ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (114.6 მლნ აშშ დოლარი, 16.2% ზრდა);
- წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე (66.2 მლნ აშშ დოლარი, 82.8% ზრდა);
- ხორბალი და მესლინი (52.2 მლნ აშშ დოლარი, 38.1% ზრდა);
- კოქსი და ნახევარკოქსი ქვანახშირის, ლიგნიტის ან ტორფისაგან (33.3 მლნ აშშ დოლარი, 13.3% ზრდა).

ფულადი გზავნილები

2024 წლის იანვარ-სექტემბერში წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 24.7%-ით შემცირდა და 2 254.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (740.1 მლნ აშშ დოლარით ნაკლები). წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა: რუსეთიდან 67.9%-ით და 413.6 მლნ

აშშ დოლარი შეადგინა (876.1 მლნ აშშ დოლარით ნაკლები). წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა: იტალიიდან 8.8%-ით და 411.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (33.2 მლნ აშშ დოლარით მეტი), აშშ-დან - 28.0%-ით და 406.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (88.9 მლნ აშშ დოლარით მეტი), გერმანიიდან - 17.2%-ით და 188.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (27.6 მლნ აშშ დოლარით მეტი), საბერძნეთიდან - 6.8%-ით და 179.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (11.5 მლნ აშშ დოლარით მეტი).

ტურიზმი

2024 წლის იანვარ-სექტემბერში, საქართველოს 5 794.7 ათასი საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია (2023 წლის ცხრა თვის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 5 567.0 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე 4.1%-ით მეტია. 2024 წლის 9 თვის ვიზიტორების რაოდენობა 2019 წლის შესაბამისი პერიოდის ვიზიტორების რაოდენობასთან შედარებით აღდგენილია 80.1%-ით (წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია).

ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 3 461.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 6.5%-ით მეტია (210.0 მლნ აშშ დოლარით მეტი) გასული წლის 9 თვის მაჩვენებელზე. 2024 წლის 9 თვის ტურიზმიდან შემოსავლები 2019 წლის შესაბამისი პერიოდის ტურიზმიდან შემოსავლებთან შედარებით აღდგენილია 134.0%-ით (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი).

ინფორმაცია საქართველოს 2024 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2024 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 18 106 391.8 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 19 111 404.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105.6%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 16 304 300.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 17 190 630.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105.4%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 212 106.8 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 250 415.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 118.1%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 589 985.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 670 359.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105.1%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 370 332.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (224 000.0 ათასი ლარი) 165.3%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 210 540.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (255 000.0 ათასი ლარი) 82.6%-ია.

2024 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**18,106,391.8**	**19,111,404.8**	**1,005,013.0**	**105.6**
გადასახადები	**16,304,300.0**	**17,190,630.0**	**886,330.0**	**105.4**
საშემოსავლო გადასახადი	5,169,000.0	5,398,669.0	229,669.0	104.4
მოგების გადასახადი	2,239,600.0	2,498,906.8	259,306.8	111.6
დამატებული ღირებულების გადასახადი	6,647,000.0	6,897,047.7	250,047.7	103.8
აქციზი	1,678,000.0	1,839,400.1	161,400.1	109.6
იმპორტის გადასახადი	111,000.0	105,050.9	-5,949.1	94.6
ქონების გადასახადი	502,700.0	540,253.3	37,553.3	107.5
სხვა გადასახადი	-43,000.0	-88,697.8	-45,697.8	206.3
გრანტები	**212,106.8**	**250,415.4**	**38,308.6**	**118.1**
სხვა შემოსავლები	**1,589,985.0**	**1,670,359.3**	**80,374.3**	**105.1**

ინფორმაცია საქართველოს 2024 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2024 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 15 443 216.8 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 16 213 023.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105.0%-ია.

2024 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**15,443,216.8**	**16,213,023.8**	**769,807.0**	**105.0**
გადასახადები	14,127,670.0	14,883,366.3	755,696.3	105.3
გრანტები	177,106.8	243,002.6	65,895.8	137.2
სხვა შემოსავლები	1,138,440.0	1,086,654.9	-51,785.1	95.5

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 14 127 670.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 14 883 366.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105.3%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 4 942 097.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 758 000.0 ათასი ლარი) 103.9%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 2 498 906.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 239 600.0 ათასი ლარი) 111.6%-ია.

- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 5 586 608.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 384 070.0 ათასი ლარი) 103.8%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 1 839 400.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 678 000.0 ათასი ლარი) 109.6%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 105 050.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (111 000.0 ათასი ლარი) 94.6%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია (-88 697.8) ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (-43 000.0 ათასი ლარი) 206.3%-ია (უარყოფითი მაჩვენებელი გამოწვეულია სხვა გადასახადიდან ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე გადატანილი თანხებით).

2024 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	**14,127,670.0**	**14,883,366.3**	**755,696.3**	**105.3**
საშემოსავლო გადასახადი	4,758,000.0	4,942,097.7	184,097.7	103.9
მოგების გადასახადი	2,239,600.0	2,498,906.8	259,306.8	111.6
დამატებული ღირებულების გადასახადი	5,384,070.0	5,586,608.6	202,538.6	103.8
აქციზი	1,678,000.0	1,839,400.1	161,400.1	109.6
იმპორტის გადასახადი	111,000.0	105,050.9	-5,949.1	94.6
სხვა გადასახადი	-43,000.0	-88,697.8	-45,697.8	206.3

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 177 106.8 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 243 002.6 ათასი ლარი (მათ შორის, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრები - 108 257.3 ათასი ლარი) ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 137.2%.

ათასი ლარი

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
გრანტები	**243,002.6**
ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები	**61,572.1**
საინვესტიციო გრანტები	**16,954.9**
IFAD	1,582.5
EU	6,313.2
EPTATF	431.8
E5P	580.0
KfW	6,872.8
CNF	1,174.5
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები	**56,218.4**
მიმდინარე გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან	**108,257.3**

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 138 440.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 1 086 654.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 95.5%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 619 642.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (745 600.0 ათასი ლარი) 83.1%-ია. აქედან,
  - **პროცენტები** - 241 862.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (207 000.0 ათასი ლარი) 116.8%-ს შეადგენს.
  - **დივიდენდები** - 352 957.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (515 600.0 ათასი ლარი) 68.5%-ს შეადგენს.
  - **რენტის** სახით მობილიზებულია 24 822.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (23 000.0 ათასი ლარი) 107.9%-ია.
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 102 955.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (76 840.0 ათასი ლარი) 134.0%-ია. აქედან,
  - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით** - 99 250.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (73 940.0 ათასი ლარი) 134.2%-ია. მათ შორის:
    - სალიცენზიო მოსაკრებელი - 409.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (190.0 ათასი ლარი) 215.5%-ია;
    - სანებართვო მოსაკრებელი - 68 233.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (51 000.0 ათასი ლარი) 133.8%-ია.
    - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 1 595.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 900.0 ათასი ლარი) 84.0%-ია;
    - სახელმწიფო ბაჟი - 22 368.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (18 500.0 ათასი ლარი) 120.9%-ია;
    - საკონსულო მოსაკრებელი - 1 315.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 300.0 ათასი ლარი) 101.2%-ია;
    - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 4 694.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (450.0 ათასი ლარი) 1 043.1%-ია.
    - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 633.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (600.0 ათასი ლარი) 105.5%-ია.
  - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 3 704.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 900.0 ათასი ლარი) 127.7%-ია. მათ შორის:
- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 134 267.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (111 000.0 ათასი ლარი) 121.0%-ია.
- **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული** მობილიზებულია 229 790.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (205 000.0 ათასი ლარი) 112.1%-ია.

2024 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	**1,138,440.0**	**1,086,654.9**	**-51,785.1**	**95.5**
შემოსავლები საკუთრებიდან	**745,600.0**	**619,642.0**	**-125,958.0**	**83.1**
პროცენტები	207,000.0	241,862.1	34,862.1	116.8
დივიდენდები	515,600.0	352,957.6	-162,642.4	68.5
რენტა	23,000.0	24,822.3	1,822.3	107.9
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**76,840.0**	**102,955.5**	**26,115.5**	**134.0**

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**73,940.0**	**99,250.9**	**25,310.9**	**134.2**
სალიცენზიო მოსაკრებლები	190.0	409.5	219.5	215.5
სანებართვო მოსაკრებლები	51,000.0	68,233.9	17,233.9	133.8
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	1,900.0	1,595.9	-304.1	84.0
სახელმწიფო ბაჟი	18,500.0	22,368.9	3,868.9	120.9
საკონსულო მოსაკრებელი	1,300.0	1,315.5	15.5	101.2
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	450.0	4,694.1	4,244.1	1,043.1
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	600.0	633.2	33.2	105.5
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**2,900.0**	**3,704.6**	**804.6**	**127.7**
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**111,000.0**	**134,267.3**	**23,267.3**	**121.0**
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**205,000.0**	**229,790.1**	**24,790.1**	**112.1**

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 181 734.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (111 000.0 ათასი ლარი) 163.7%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 268 913.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (270 000.0 ათასი ლარი) 99.6%-ია.